

**1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** რომანული ფილოლოგია / Romance Philology

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამ სასპეციალიზაციო მოდულს:

- ფრანგული ენა და ლიტერატურა.
- იტალიური ენა და ლიტერატურა
- ესპანური ენა და ლიტერატურა.

**2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology.

**3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ქეთევან გაბუნია.

**მოდულის ხელმძღვანელები:**

ფრანგული ენათმეცნიერების ქვემოდულის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი ქეთევან გაბუნია.

ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის ქვემოდულის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ნანა გუნცაძე.

იტალიური ენა და ლიტერატურის მოდულის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მათა ჯავახიძე

ესპანური ენა და ლიტერატურის მოდულის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი სოფიო ფეიქრიშვილი.

პროგრამის კონსულტანტი ემერიტუსი ციური ახვლედიანი

**4. პროგრამის ანალოგი:**

პროგრამის ანალოგი მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტშია. მაგალითისათვის იხილეთ:

Ecole Normal Supérieur

[http://www.cogmaster.net.master@cogmaster.net.](http://www.cogmaster.net.master@cogmaster.net)

<http://www.cognition.ens.fr>

Universite Paris Diderot – Paris7

<http://www.univ-paris-diderot.fr/formation/index.php?numpage=2>

Universite Paris 3- Sorbonne Nouvelle

<http://www.univ.paris3.fr>

Universite du Quebec a Montreal

[www.ling.cycles-sup.ugam.ca](http://www.ling.cycles-sup.ugam.ca)

[http://www.regis.uquam.ca/Index\\_pgm/index.html](http://www.regis.uquam.ca/Index_pgm/index.html)

<http://www.registrariat.uquam.ca/Pdf/programmes/3091.pdf>

Universite de Paris 10

[www.u-paris10.fr](http://www.u-paris10.fr)

Univesidad coplutense de Madrid  
[www.ucm.es](http://www.ucm.es)

Софийский Университет СВ. Климент Охридский  
[www.etudes.francofones.org](http://www.etudes.francofones.org)

Universite Paris 4 - Sorbonne Nouvelle  
<http://www.univ-paris4.fr>

Universidad Autonoma Madrid, Barcelona  
[www.uam.es](http://www.uam.es)

##### 5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც საწყისი საბაკალავრო განათლება რომანული ფილოლოგიის დარგებში აქვთ მიღებული და სურთ გაიღრმავონ ცოდნა რომანული (ფრანგული, ესპანური, იტალიური) ენებისა და ლიტერატურის სფეროში, ასევე რომანულ ენათა სწავლების თეორიისა და რომანულ ენათა პრაგმატიკის სფეროებში (მაგალითად, ფრანკოფონიასთან დაკავშირებული საკითხები). იგი მიზნად ისახავს მოამზადოს აღნიშნული ენების კვალიფიციური სპეციალისტები, კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს ერთ-ერთი რომანული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები. გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი, ტიპოლოგიური და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; ასწავლოს ენათა აღწერის პრინციპები; გაულრმავოს ტექსტებზე (სამეცნიერო თუ მხატვრული) მუშაობის უნარი; მეტად განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, სამეცნიერო საკითხებისადმი ეპისტემოლოგიური მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს რომანული ენების სპეციალობის ფილოლოგთა მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.

სამაგისტრო პროგრამის მოდული « ფრანგული ლიტერატურა » განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც განვლილი აქვთ 1 ციკლით (საბაკალავრო) გათვალისწინებული ფრანგული ენისა და ლიტერატურის ერთიანი პროგრამა და საფუძვლიანად დაეუფლნენ როგორც ფრანგულ ენას, ასევე ლიტერატურას გარკვეული სპეციალიზაციით (იგულისხმება არჩევითი კურსების და სპეც. კურსების მოსმენა). სახელწოდება « ფრანგული ლიტერატურა » დამკვიდრებულია ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო ტერმინოლოგიაში. მაგისტრატურაში ამ განხრით შემოსული სტუდენტი იმუშავებს საერთო ლიტერატურულ პრობლემებზე, უპირატესად ფრანგული და ასევე მთლიანად ევროპული ლიტერატურის ჭრილში.

ევროპაში ფართოდ გავრცელებული კომპარატიული კვლევის აქტუალობა განაპირობებს ამჟამად ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს. კომპარატიული მეთოდოლოგიის, ტერმინოლოგიის, კვლევის პერსპექტივის გაცნობის მიზნით სამაგისტრო პროგრამაში შემოვიტანეთ ახალი საგანი, სახელწოდებით «კომპარატიული ლიტერატურის ისტორია », რაც სტუდენტებს შესაძლებლობებს აძლევს გარკვეული ცოდნა მიიღონ ამ სფეროში და შემდგომ დოქტორანტურაში ამ მიმართულებით განაგრძონ კვლევა.

**ბ) სწავლის შედეგები:** აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ შეისწავლოს და გამოიყენოს რომანული ფილოლოგიის არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში არსებული ტექსტები, სალექსიკონო მასალები. მაგისტრანტი იძენს საფუძვლიან ცოდნას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევებისათვის.

მაგისტრი შეძლებს ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას, ასევე ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება-გადლოვას არჩეული რომანული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგინოს მონაცემთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს სამეცნიერო ლიტერატურის რეფერირებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

**გ) დასაქმების სფეროები:** სასწავლო პროგრამის დამთავრების შემდეგ მაგისტრს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები. მას შეეძლება მუშაობა:

- ნებისმიერი ორგანიზაციის ინფორმაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში.
- ნებისმიერ საჯარო და კერძო დაწესებულებაში, როგორც ოფის-მენეჯერს, რეფერენტს, ან ადმინისტრაციის თანამდებობის პირს.
- საგამომცემლო საქმეში და ლინგვისტურ ინჟინერიასთან დაკავშირებულ ყველა დარგში.
- რეკლამის ან კინემატოგრაფის სფეროში.
- მთარგმნელობითი საქმიანობა (მხატვრული თარგმანი, თარჯიმანი).

## **6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:**

- პროგრამაზე დაშვებიან კანდიდატები, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი რომანულ ფილოლოგიაში, შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში, კულტუროლოგიაში; ასევე, ის კანდიდატები, რომლებსაც აქვთ სხვა ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების პროფილის ბაკალავრის ხარისხი ერთ-ერთი რომანული ენის ცოდნით.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

- მაგისტრატურაში ჩარიცხვის დროს თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ სტუდენტებს, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში (გამოქვეყნებული თეზისები).
- სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო.

**სწავლის გაგრძელების საშუალება:** მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

**7. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:** იხ. დანართი.

**8. სასწავლო კურსების სილაბუსები :** იხ. სტუდენტურ ბაზაში

**9. კვლევითი კომპონენტი:** რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას კურირებს რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობს ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციას.

სამაგისტრო შრომების ხელმძღვანელად ინიშნება ამ დეპარტამენტის წევრი. სამეცნიერო-შემოქმედებითი თემატიკა ასახავს თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურული კვლევის მეცნიერულ დონეს :

1. სემანტიკა
2. სოციოლინგვისტიკა
3. ფსიქოლინგვისტიკა
4. ფონოლოგია
5. ფონოსტილისტიკა
6. ტექსტის ლინგვისტიკა
7. პრაგმატიკა
8. კონტრასტული ლინგვისტიკა
9. ლინგვოკულტუროლოგია
10. მოდერნული ფრანგული ლიტერატურა და კომპარატიული ლიტერატურა.
11. ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები.

**10. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

- საფრანგეთის და იტალიის საელჩოები საქართველოში გვთავაზობს უახლესი ლიტერატურის და სახელმძღვანელოების გამოწერის საშუალებას, ამავე დროს პერიოდულად გვაწვდის შესაბამის ლიტერატურას, ტექნიკას, აუდიოვიზუალურ საშუალებებს და პროგრამებს.

- ა.დიუმას მედიათეკა და ბიბლიოთეკა მუდმივად ემსახურება აბონენტებს; სტუდენტები აქტიურად მუშაობენ მედიათეკის ბიბლიოთეკაში, იღებენ პრესას, საჭირო სამეცნიერო, მხატვრულ სასწავლო ლიტერატურას.
- სტუდენტური სტიპენდიის მოპოვებას ფრანკოფონიული ქვეყნების უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად უზრუნველყოფს ფრანკოფონიული უნივერსიტეტების ასოციაცია და საფრანგეთის საელჩო. იგივე ასოციაცია გვაწვდის ინფორმაციულ საიტებს ფრანკოფონიის პრობლემატიკის ირგვლივ მიმდინარე კონფერენციების, კოლოკვიუმებისა თუ სემინარების შესახებ.
- ფაკულტეტზე არსებობს და მოქმედებს საკმაოდ მდიდარი ფრანგულენოვანი, ესპანურენოვანი და იტალიურენოვანი ბიბლიოთეკა; კაბინეტები აღჭურვილია ტელევიზორით, კომპიუტერით და პრინტერით.
- თსუ ადმინისტრაციულ და II და V კორპუსებში ფუნქციონირებს კომპიუტერული რესურს-ცენტრები.
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

**P.S** ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა შემუშავების პროცესშია.

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი/ ლექტორები	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
						სემესტრები			
						I	II	III	IV
<b>ყველა მოდულისათვის სავალდებულო საგნები</b>									
1	ბიბლია და ლიტერატურა	სავალდებულო	60/65	გ. ეკიზაშვილი	5			-	
2	სოციოლინგვისტიკა	სავალდებულო	60/65	ქ. გაბუნია	5	-			
3	რომანულ ენათა შედარებითი ფილოლოგია	სავალდებულო	30/95	ც. ახვლედიანი	5	-			
4	რომანულ და ქართულ ენათა შედარებითი ტიპოლოგია	სავალდებულო	30/95	ც. ახვლედიანი	5		-		
<b>მოდული ფრანგული ენა და ლიტერატურის ორივე ქვემოდულისათვის სავალდებულო</b>									
1	ფსიქოლონგვისტიკა	სავალდებულო.	60/65	ქ. გაბუნია	5				
2	კომპარატიული ლიტერატურა	სავალდებულო	60/65	ნ. გუნცაძე	5			-	
<b>ფრანგული ენათმეცნიერების ქვემოდულისთვის სავალდებულო კურსები</b>									
1	ტექსტის ლინგვისტიკა	სავალდებულო	60/65	ს. გელაძე	5				
2	ფონოლოგია	სავალდებულო	60/65	ს. გელაძე	5				
3	ახალი სინტაქსური თეორიები	სავალდებულო	60/65	ქ. გაბუნია	5				
4	პრაგმატიკა	სავალდებულო	60/65	ს. გელაძე	5				
5	ენის სემანტიკური თეორია	სავალდებულო	60/65	ს. გელაძე	5				
6	ფრანგული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	60/65	თ. ქაცანაშვილი	5				
<b>ფრანგული ლიტერატურათმცოდნეობის ქვემოდულისათვის სავალდებულო კურსები</b>									
1	თანამედროვე ფრანგული პოეზია	სავალდებულო	60/65	ნ. ქავთარაძე	5			-	
2	აბსურდის თეატრი	სავალდებულო	60/65	ნ. გუნცაძე	5		-		

3	ფრანგული ეგზისტენციალისტური რომანი, ა. კამიუ	სავალდებულო	60/65	გ. ეკიზაშვილი	5		-		
4	ფრანგული პოეზია ლამარტინიდან ბოდლერამდე	სავალდებულო	60/65	გ. ეკიზაშვილი	5		-		
5	პრუსტის სუბიექტური ეპოპეა	სავალდებულო	60/65	ნ. ქავთარაძე	5		-		
6	გიომ აპოლინერის პოეზია	სავალდებულო	60/65	ი. გასვიანი	5		-		
<b>იტალიური ენისა და ლიტერატურის მოდულისთვის სავალდებულო კურსები</b>									
1	თანამედროვე იტალიური ენის მორფო-სინტაქსის პრობლემები.	სავალდებულო	30/95	მ. ჯავახიძე	5		-		
2	იტალიური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები 1	სავალდებულო	30/95	მ. ჯავახიძე	5		-		
3	იტალიური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები 2	სავალდებულო	30/95	მ. ჯავახიძე	5			-	
4	იტალიური ენის ფრაზეოლოგია	სავალდებულო	30/95	მ. ჯავახიძე	5			-	
5	ცნობიერების ნაკადი და ეგზისტენციალიზმი	სავალდებულო	30/95	მ. კორაძო	5		-		
6	მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იტალიური ლიტერატურა	სავალდებულო	30/95	მ. კორაძო	5			-	
7	დეკადენტიზმი იტალიურ ლიტერატურაში	სავალდებულო	30/95	მ. კორაძო	5			-	
8	იტალიური ნეორეალიზმი	სავალდებულო	30/95	მ. კორაძო	5			-	
<b>ესპანური ენისა და ლიტერატურის მოდულისთვის სავალდებულო კურსები</b>									
1	თანამედროვე ესპანური ენის გამოყენება და მისი სტრუქტურა	სავალდებულო	30/95	მ. კობეშავიძე	5				
2	ესპანური დიალექტოლოგია	სავალდებულო	30/95	მ. კობეშავიძე	5				
3	ესპანური ენის ლათინოამერიკული ვარიანტი.	სავალდებულო	30/95	მ. კობეშავიძე	5				
4	“ოქროს ხანა” ესპანურ ლიტერატურაში	სავალდებულო	30/95	ს. ფეიქრიშვილი	5				
5	ესპანურენოვანი	სავალდებულო	30/95	ს.	5				

	ლიტერატურის ტერმინოლოგიის განვითარება			ფეიქრიშვილი					
6	კოლონიალური ლიტერატურის « ბუმი »	სავალდებულო	30/95	ს. ფეიქრიშვილი	5				
7	ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და კომენტარის თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	30/95	მ. კობეშავიძე	5				
8	ავანგარდი, 27-ანელთა თაობა ესპანურ ლიტერატურაში	სავალდებულო	30/95	ს. ფეიქრიშვილი	5				
<b>არჩევითი საგნები ყველა მოდულისათვის</b>									
1	თანამედროვე ლიტერატურული კვლევის მეთოდები	არჩევითი	45/80	ბ. ხაბეიშვილი	5	-			
2	ფანტასტიკური ლიტერატურა	არჩევითი	45/80	ნ. ქავთარაძე	5	-			
3	რომანის პოეტიკა	არჩევითი	45/80	ნ. ქავთარაძე	5	-			
4	ქანრების თეორია	არჩევითი	45/80	ბ. ხაბეიშვილი	5		-		
5	კინო, თეატრი, ლიტერატურა	არჩევითი	45/80	შ. ციციანი	5		-		
6	სიურეალიზმი	არჩევითი	45/80	ი. გასვიანი	5		-		
7	ფრანგული ენის გადრმავებული კურსი (C1)	არჩევითი	45/80	ს. გელაძე	5	-			
8	ფრანგული ენის გადრმავებული კურსი (C2)	არჩევითი	45/80	ს. გელაძე	5			-	
9	ეგზისტენციალური რომანი ესპანურ ლიტერატურაში	არჩევითი	45/80	ს. ფეიქრიშვილი	5			-	
10	ესპანური პრაგმატიკის თეორია	არჩევითი	45/80	მ. კობეშავიძე	5			-	
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო			30				
	<b>სულ</b>				<b>120</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>

## საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

რომანული ფილოლოგიის მიმართულებაზე მაგისტრატურაში სპეციალობის გამოცდა ბარდება ფრანგულ, იტალიურ ან ესპანურ ენაში სასპეციალიზაციო მოდულის მიხედვით (ენის კომპეტენციის B2 დონე)